ხელშეკრულება #151

ქ. თბილისი 10 ივნისი 2015 წელი

ერთი მხრივ, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი (შემდგომში "შემსყიდველი") მისი თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ნაცვლიშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „ახალი ქსელები" (შემდგომში „შემსრულებელი") მისი დირექტორის ნანა შარაშენიძის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე *(საფუძველი: საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის N1805 განკარგულება "საკომუნიკაციო მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ")* :

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით სასჯელაღსრულების სამინისტროს ახალ ადმინისტრაციულ შენობაში ინტერნეტის ქსელის საინსტალაციო მომსახურებების შესყიდვა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (CPV 32412000)

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია ინტერნეტის ქსელის საინსტალაციო მომსახურება. მომსახურების ერთეულის და საერთო ფასი, განისაზღვრება დანართის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას.

2.2 ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნული დანართი (ერთი ფურცელი) წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის (მომსახურების) ფასი განისაზღვრება ეროვნული ლარით.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს არაუმეტეს **5 197 (ხუთიათას ასოთხმოცდაჩვიდმეტი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.3. ხელშეკრულების 3.2. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მოსაკრებელი და გადასახადი.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება იქნება მაღალი ხარისხის უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებაზე ორმხრივად ხელმოწერიდან 2015 წლის 19 ივნისის ჩათვლით.

5.2. მომსახურების გაწევის ადგილებია სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა მისი დაწესებულებების ფაქტიური მისამართები (იხ. დანართი).

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და შემსრულებლის მიერ შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.1. პუნქტში აღნიშნული უფლებამოსილი პირია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ოპერატიულ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი კახა ფიფია.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ლარში.

7.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

7.3 ანგარიშსწორების განხორციელებისათვის შემსრულებელმა უნდა წარმოადგინოს მიღება-ჩაბარების აქტი და ანგარიშ-ფაქტურა.

7.4. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შემსრულებეის მიერ ამ ხელშეკრულების 7.3. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) გააფრთხილოს შემსყიდველი, როდესაც არსებობს მისგან დამოუკიდებელი გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის მომსახურების გაწევის შესრულებას.

გ) ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელშემშლელ გარემოებეთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი/უხარისხო შესრულების შემთხვევაში, შემსრულებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 2 (ორი) პროცენტის ოდენობით.

9.2. მომსახურების ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსრულებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,4 (ნული მთელი, ოთხი მეათედი) პროცენტის ოდენობით.

9.3. შემსრულებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსრულებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებაზე ორმხრივად ხელის მოწერის დღიდან 2015 წლის 31 აგვისტომდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის (მომსახურეობის) მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ოპერატიულ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი კახა ფიფია.

13.3. ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია აცნობოს შემსრულებელს აღმოჩენილი ხარვეზის შესახებ და მოსთხოვოს არაუბვიანეს 24 საათში საკუთარი ხარჯებით მისი აღმოფხვრა.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისთვის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, თუ:

ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

14.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

14.4. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. სხვა პირობები

16.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იქნება წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

17. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სასჯელაღსრულების დეპარტამენტი გორგასლის ქ. N83 ა ს/კ 204404723 საქართველოს ეროვნული ბანკი ბ/კ 220101107 ა/ა GE24NB0330100200165022 თავმჯდომარის მოადგილე /გიორგი ნაცვლიშვილი/	შპს „ახალი ქსელები“ ქ. თბილისი, ა. პოლიტოვსკაია ქ. N16; ს/კ: 202913106 ს/ს „თიბისი ბანკი“ ბ/კ TBCBGE22 ა/ა GE16TB1100000021467754 ტელ: 577447697 დირექტორი /ნანა შარაშენიძე/

დანართი

	დასახელება	მისამართი	ღირებულება	საერთო ღირებულება
1	ინტერნეტის ქსელის ინსტალაცია	ქ. თბილისი. გულუას ქ. #31	872	872
2	ინტერნეტის ქსელის ინსტალაცია	ქ. თბილისი. გორგასლის ქ. #85	4325	4325
3	საერთო ჯამი:			5 197

შპს „ახალი ქსელები“-ს დირექტორი /ნ. შარაშენიძე/